

კორუფცია და ინსტიტუტები გარდამავალ პერიოდში

Case-Study საქართველო

თინათინ ჯანგიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კორუფციის, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარება. დეტალურად არის განხილული კორუფციის ტიპოლოგია, ფორმები, მისი გამომწვევი მიზეზები. კვლევის მიზანია დადგინდეს, რომ პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება ხელს უწყობს კორუფციის დონის კლებას. კვლევის ფარგლებში ჩამოვყალიბეთ ჰიპოთეზა, რომ ქვეყანაში გატარებული რეფორმები, რომლებიც ავითარებენ პოლიტიკური ინსტიტუტების დემოკრატიზაციასა და ეკონომიკურ ლიბერალიზაციას არის კორუფციის დაბალი დონის აუცილებელი წინაპირობა.

მმართველობით დონეზე არსებული კორუფციის საილუსტრაციოდ განხილულია ისეთი შემთხვევები, როგორც არის მმართველობის კლექტოკრატიული ფორმა, კრონიზმი, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტურად ფუნქციონირებისათვის. ნაშრომში განხილულია მმართველობის ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ხშირად ხდება კორუციული სქემების წამახალისებელი, კერძო კომპანიები თუ მოქალაქეები მომსახურების დროულად მიღების მიზნით, ბიუროკრატიული სისტემის გვერდის ავლის მექანიზმად იყენებენ ქრთამს. კვლევა შეისწავლის ხელისუფლების საკანონმდებლო შტოში არსებულ კორუფციას, რომელიც გამოიხატება კანონმდებლების მიერ ისეთი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში, რომელიც ხშირად ბუნდოვანი შინაარსის შემცველია და იძლევა ლავირების საშუალებას. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ კორუფციას, განხილულია სასამართლოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა. რაც უფრო მაღალია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, სასამართლო საქმისწარმოებისას კორუმპირებული ხელისუფლების წარმომადგენელთა სასურველი გადაწყვეტილების გამოტანის ალბათობა დაბალია.

კორუფცია უმნიშვნელოვანესი შემაფერხებელია ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და სტაბილურობისათვის. ეკონომიკური ინსტიტუტების კვლევისას

განხილულია ეკონომიკურ ინსტიტუტებში სახელმწიფოს ჩარევის შემთხვევები, მათი ურთიერთდამოკიდებულება და შედეგი, რომელსაც ქმნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების გაუმიჯნაობა.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის მეთოდოლოგია: Case-Study და რაოდენობრივი კვლევა. Case-Study იხილავს საქართველოს მაგალითს, საქართველოში გატარებულ ანტიკორუფციულ რეფორმებს და შედეგებს, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

კვლევის ჰიპოთეზა და საკვლევი კითხვა შემოწმებულია გლობალური ინდექსების საშუალებით, რომლებიც დავყავით სამ ჯგუფად: კორუფციის, ეკონომიკური თავისუფლებისა და დემოკრატიზაციის აღმნიშვნელი მაჩვენებლები. ინდექსების ჰიპოთეზასთან შედარებამ, შესაძლებლობა მოგვცა შეგვემოწმებინა ჰიპოთეზა, შეგვედარებინა Case-Study-საქართველოს მაგალითზე და გაგვეკეთებინა დასკვა, თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდა საქართველოში გარდამავალ პერიოდში პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების გატარებამ, ხელი შეუწყო პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას და კორუფციის დონის შემცირებას.

საძიებო სიტყვები: კორუფცია, პოლიტიკური ინსტიტუტები, ეკონომიკური ინსტიტუტები, გარდამავალი დემოკრატია, საქართველო, კორუფციის მაჩვენებლები, დემოკრატიზაციის ინდექსი.

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თინათინ ჯანგიძე

20.06.2014

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში აკადემიური პროცედურების აქტიური მხარდაჭერისათვის უღრმეს მადლობას ვუხდით ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ - პროფესორს, ქალბატონ ნინო ფავლენიშვილს.

სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის პროცესში ქალბატონი ნინო აქტიურად იყო ჩართული, მეხმარებოდა საჭირო მასალების სწორად შერჩევასა და სამეცნიერო მეთოდებით დამუშავებაში, მაძლევდა კომპეტენტურ რჩევებს, მეხმარებოდა საჭირო სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაში. ის ყოველთვის მზად იყო, ჩემს კითხვებზე ეპასუხა და მოეცა საჭირო მიმართულება, მისი კვალიფიციური რჩევები მეხმარებოდა ნაშრომის სწორი მიმართულებით მომზადებაში.

მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, მეთანამშრომლა ქალბატონ ნინოსთან, რომელიც გამოირჩევა მაღალკვალიფიციურობითა და უდიდესი პროფესიონალიზმით. მადლობას ვუხდით თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის.